ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი** **წევრ(ებ)ი: გიორგი მომცელიძე**

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐**არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218031047

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ტინისხიდი
ფაქტობრივი მისამართი	გორის მუნიციპალიტეტი სოფელი ტინისხიდი
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2376
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tiniskhidi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577922506

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტის 14/11/2025 წლის ბრძანება MES 1 25 0001616023
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	11,12 დეკემბერი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლას (ს/კ 218031047) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 27/11/2023 წლის MES 3 23 0001608648 გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან საბჭომ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 27/11/2023 წლის MES 5 23 0001607966 სხდომის ოქმით შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით. მონიტორინგის დაწყების პერიოდი განისაზღვრა 2025 წლის ნოემბრიდან, ხოლო მონიტორინგის განხორციელების ფორმად დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სკოლაში განხორციელდა 2025 წლის 11 და 12 დეკემბერს. გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. განხორციელდა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან. ინტერვიუებმა ექსპერტებს საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და

კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის სამივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები დეტალურადაა აღწერილი დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	**236**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლამ 07.01.2026 წლის MES 4 26 0000000849 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. სკოლა დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს გამოვლენილი ხარვეზების სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. წარმოდგენილ გეგმაში სკოლამ აღწერა ინდიკატორთან მიმართებით არსებული შეუსაბამობა, შესაბამისობის ტიპი, შესაბამისობის უზრნველყოფის აქტივობა, აქტივობების დაწყება-დასრულების თარიღები. განსაზღვრა ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომლითაც უზრუნველყოფდა აქტივობების განხორციელებას, აქტივობების განხორციელებაში ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და რისკების დადგომის ალბათობა. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის ანალიზის დროსაც გამოვლინდა, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული

შესაბამისობის ტიპი და აქტივობების დაწყება-დასრულების თარიღები ინდიკატორებთან: 1.2.2.2., 3.1.2.3, 3.1.2.6, 3.2.1.2, 3.3.1.1, 3.4.1.1, 3.5.1.3, 4.2.1.6 4.2.2.3 მიმართებით არ იყო შესაბამისი. კერძოდ სკოლას შესაბამისობის ტიპში ეწერა ნაწილობრივი, ხოლო აქტივობების დაწყება-დასრულების თარიღში მითითებული ვადები არ აღემატებოდა 1 წელს. ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისათვის უფრო რელევანტურად და ვალიდურად მიიჩნია ეხელმძღვანელა აქტივობების დაწყება-დასრულების ნაწილში მითითებული კონკრეტული თარიღებით (უფრო სანდოდ ჩათვალა რიცხვებში გამოხატული მონაცემები) და არა სკოლის მიერ მითითებული შესაბამისობის ტიპით, ვინაიდან როცა სკოლა ამბობს რომ აქტივობა დასრულდება ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში, ეს ავტომატურად მიუთითებს მეტწილ შესაბამისობაზე.

ამრიგად ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 1.2.2.2., 3.1.2.3, 3.1.2.6, 3.2.1.2, 3.3.1.1, 3.4.1.1, 3.4.1.2, 3.5.1.3, 3.5.1.4, 4.2.1.6 და 4.2.2.3 ინდიკატორებთან მიმართებით და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები. რაც შეეხება 1.1.1.3, 1.1.1.4, 1.2.1.2 და 1.2.1.4 ინდიკატორებს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მიერ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული აქტივობები ვერ უზრუნველყოფდა ინდიკატორის დაკმაყოფილებას სრულად (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ■ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ღირებულებები	■ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება

ღონისძიებები	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N.1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლის ხედვა და ღირებულებები არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
ინდიკატორი N 1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლის ხედვა და ღირებულებები არ არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ
ინდიკატორი N 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნები ატარებს აღწერით ხასიათს და არ არის ჩამოყალიბებული მკაფიო, კონკრეტული, გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული მიზნების სახით. მიზნებს არ ახლავს შესაბამისი ამოცანები, რომლებიც ერთწლიან გეგმაში აქტივობებად უნდა ჩაიშალოს.
ინდიკატორი N.1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების	სკოლის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები, მიზნების შესაბამისი ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რესურსი,

	გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი **N 1.2.2.2**	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.26-20.03.26წწ.) შეიმუშაოს უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები (კითხვარები, ფოკუს-ჯგუფების კითხვარები), ჩაატაროს გამოკითხვები, ფოკუსჯგუფები და განახორციელოს მიღებული მონაცემების ანალიზი; ანალიზის შედეგები ასახოს მონიტორინგის ანგარიშში და გაითვალისწინოს ისინი შემდგომი დაგეგმვის პროცესში.

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი **N** *3.1.2.3*	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადაში (15.01.2026 -20.03 2026წწ) უზრუნველყოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილება და სრულად განსაზღვროს დასაქმებულის მიერ წარმოსადგენი აუცილებელი ცნობების ჩამონათვალი
ინდიკატორი **N 3.1.2.6.**	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (15.01.2026-15.02. 2026) უზრუნველყოს „წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების წესის“ შემუშავება.
ინდიკატორი **N** *3.2.1.2.*	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.01.2026-20.04.2026 წწ) უზრუნველყოს პერსონალის საჭროებების კვვლევა და შექმნას წლიური განვითარების გეგმა რომელიც საფუძვლად დაედება პერსონალის განვითარებას
ინდიკატორი **N** *3.3.1.1.*	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განსაზღვრულ პერიოდში (20.01.2026-20.03.2026წწ.)უზრუნველყოს დაგეგმილი ღონისძიებების განახორციელება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. მოამზადოს შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები, განახორციელოს პირველი სრული ხარისხის ციკლი პრიორიტეტულ მიმართულებებში და შემდგომში აქტიურად იხელმძღვანელოს და გამოიყენოს საკუთარი დოკუმენტი ყველა

		მიმართულებით.
ინდიკატორი **N** 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	სკოლამ სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.26-15.01.27) უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება და ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოსაფხვრელად სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებების განხორციელება.
ინდიკატორი **N** *3.4.1.2.*	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.01.26-20.03.26 წწ.) უზრუნელყოს კანონმდებლობით ნებადართული მედიკამენტების შესყიდვა.
ინდიკატორი	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო	სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ (15.01.26-15.04.26 წწ) ვადაში უზრუნელყოს წიგნადი ფონდის სრულ

N 3.5.1.3.	სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	ინვენტარიზაცია და საინენტარო წიგნის წარმოება
ინდიკატორი **N** 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.26-15.04.26წწ.) უზრუნველყოს სკოლის მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე პანდუსის მოწყობა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი **N** 4.2.1.6	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში (15.01.2026-15.02.2026 წ.წ.) უზრუნველყოს უკუკავშირის ანალიზის მექანიზმის შექმნა.
ინდიკატორი **N 4.2.2.3**	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში (15.01.2026-15.02.2026წ.წ.) უზრუნველყოს მიღებული უკუკავშირის შეფასება და შეფასების შედეგები გაითვალისწინოს მომსახურების დაგეგმვის პროცესში.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი	სკოლა უზრუნველყოფს	პროცესის სისტემურობისათვის სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დასაქმებულთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები

N 3.2.1.4.	თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	
ინდიკატორი **N** ***3.3.1.2***	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი ერთიანი დოკუმენტის შემუშავება.
ინდიკატორი **N 3.4.1.1.**	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	სასურველია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)ებ	
ინდიკატორი N 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სასურველია რომ თანამშრომლებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმდეს შეთანხმება შრომითი ხელშეკრულებიდან პერსონალურ მონაცემთა თანხმობაზე მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა მოპოვებული იქნას ინდივიდუალურად.
ინდიკატორი N 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სასურველია სკოლამ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში დააკონკრეტოს სასკოლო საზოგადოებიდან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების პროცედურები
ინდიკატორი N 3.6.3.3.	საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	სასურველია სკოლამ დააზუსტოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის პროცედურები, რათა პროცესი უფრო სისტემური გახადოს
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N 4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესის უფრო ეფექტიანი მართვისათვის და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის სასურველია სკოლამ მოახდინოს აკადემიური მხარდაჭერის არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და გაწეროს მხარდაჭერის პროცესი
ინდიკატორი N 4.2.1.5.	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს	სასურელია სკოლამ უზრუნველყოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და დოკუმენტირება, კერძოდ: მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენისა და განხილვის პროცედურის გაწერა, მხარდაჭერის ფორმებისა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, განხორციელებული ინიციატივების შედეგების მონიტორინგისა და

	დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	შეფასების მექანიზმების შემუშავება და სხვა.
ინდიკატორი N 4.2.2.2	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	სასურველია სკოლამ მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მართვა გაწეროს კონკრეტულ მექანიზმებად, მათ შორის განსაზღვროს ინფორმაციის მიწოდების ფორმები, პერიოდულობა, პასუხისმგებელი პირები და განხორციელებული საქმიანობის დოკუმენტირების წესი, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და მტკიცებულებებით დადასტურებას.
ინდიკატორი N.4.2.3.1.	სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას	სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებას ახდენს სსიპ - მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი/ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი და არა მულტიდისციპლინური გუნდი და შესაბამისად განაახლოს საკუთარი რეგულაცია" სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი"
ინდიკატორი N 4.2.4.1.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის	სასურველია კლუბის ფუნქციონირება დარეგულირდეს დირექტორის ბრძანებით

	განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
ინდიკატორი N 4.2.4.2.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას	სასურველია მოსწავლის კლუბებში გაწევრიანება განხორციელდეს მოსწავლის ან მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი შესაბამისი განცხადებით/მიმართვით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	რეკომენდაცია	შესრულების სტატუსი
ინდიკატორი 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.	რეკომენდირებულია სკოლამ შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2023წ. 25.10.	შესრულებულია

		- 31.10.2023წ. .	
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	რეკომენდირებულია სკოლამ შეიმუშავოს განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს (ფილოსოფიას), რომელიც მიზნად დაისახავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდში 01.11.2023წ. - 15.12.2023წ.	სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა შემუშავებულია. გეგმაში მიზნების ფორმულირება აღწერითი ხასიათისაა და დასაზუსტებელია მიზნების შესაბამისი ამოცანები.
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	რეკომენდირებულია სკოლამ შეიმუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარე იქნება სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და დაეფუძნება მას. მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდეს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 18.12.2023წ - 30.12.2023წ.	შესრულებულია
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	რეკომენდირებულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები	არ არის შესრულებული

		(ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.ბის მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდეს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 18.12.2023წ - 30.12.2023წ.	
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	1. რეკომენდირებულია სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო შტაბის შექმნა, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმის შემუშავება და გეგმის შეთანხმება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან 15.08.2023წ. - 30.05.2024წ. პერიოდში. 2. რეკომენდირებულია სკოლამ მოიპოვოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდში 15.08.2023წ. - 30.05.2024წ. 3. რეკომენდირებულია სკოლამ მოიპოვოს დასკვნა შენობის	1.საგანგებო შტაბი შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. 2.სკოლას არ აქვს მოპოვებული დადებითი დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ 3. სკოლას მოპოვებული აქვს დასკვნა შენობის

		მდგრადობასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილ პერიოდში 15.08.2023წ. - 30.05.2024წ. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი #MES 6 23 0001394711 18.10.2023წ. ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოძიების შესახებ.	მდგრადობასთან დაკაშირებით
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	რეკომენდირებულია სკოლას ჰქონდეს მოქმედი ვებ-გვერდი, რომლის საშუალებითაც განახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერილია პერიოდი 17.07.2023წ. - 30.12.2023წ. ვებ-გვერდის შექმნისა და ამოქმედებისათვის. ამ ეტაპზე სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება #2-60 სკოლის ვებ-გვერდის განვითარების მართვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.	შესრულებულია სკოლას აქვს მოქმედი ვებგერდი
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი/ვებ-გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.	რეკომენდირებულია სკოლას ჰქონდეს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებული იქნება ქართულ ენაზე სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერილია პერიოდი 17.07.2023წ. - 30.12.2023წ. ვებ-გვერდის შექმნისა და	შესრულებულია სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე

		ამოქმედებისათვის.	
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	რეკომენდირებულია სკოლას ჰქონდეს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც იქნება სტანდარტის მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სხვა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც გაწერილია პერიოდი 17.07.2023წ. - 30.12.2023წ. ვებ-გვერდის შექმნისა და ამოქმედებისათვის.	შესრულებულია სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც წარმოდგენილია სტანდარტის მოთხოვნებით გათვალისწინებული ინფორმაცია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისია ხაზს უსვამს კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებლიანი და განვითარებაზე ორიენტირებული პიროვნების აღზრდას, პრაქტიკული და პროექტული სწავლებით, გუნდური მუშაობისა და ღიაობის პრინციპებზე დაყრდნობით. სკოლის ხედვით კი სკოლა და მისი კურსდამთავრებულები 2030 წლისთვის იქნებიან კონკურენტუნარიანი, დამოუკიდებელი მოქალაქეები - რაც თანხვედრაშია ასევე ეროვნული მიზნების კონცეფციასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიისა და ხედვის საშუალებით განსაზღვრავს თავის როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერ და პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. კერძოდ, მისია წარმოაჩენს სკოლას, როგორც გარემოსა და საცხოვრებელ პირობებზე მორგებულ, კონკურენტუნარიანი ადამიანების აღზრდისათვის არსებულ სივრცეს, სადაც პრაქტიკული (კეთებითი/პროექტული) სწავლება, გუნდური მუშაობა და ღიაობა წარმოადგენს განვითარების ძირითად საფუძველს.

სკოლის ხედვა - 2030 წლისთვის კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი მოქალაქეების აღზრდა - ხაზს უსვამს პიროვნების თვითრეალიზაციის, დამოუკიდებლობისა და თანამედროვე გარემოში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას.

ამრიგად, მისია და ხედვა ერთობლივად უზრუნველყოფს ისეთი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც უსაფრთხო, ინკლუზიური, ღია და პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული და სრულად შეესაბამება სკოლის სოციო-კულტურულ დანიშნულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის განმარტებით დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც იყო დირექტორი და 6 მასწავლებელი, იმუშავა სკოლის მისიის ჩამოყალიბებაზე. სამუშაო ჯგუფმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ მათ მისიის შემუშავებამდე ჩაატარეს ინტერვიუები მოსწავლეებთან იმის დასადგენად, თუ როგორი სკოლა სურთ მათ. ზემოაღნიშნული ჯგუფის განმარტებით მათ

ასევე ჩაატარეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა სკოლის მისიასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეს მისიის საბოლოო ვერსია. მისიის შემუშვების პროცესის დადასტურების მიზნით სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე დამსწრეთა ხელმოწერები, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, გამოკითხვის კითხვარის ნიმუში და მტკიცებულება სკოლის სოციალური ქსელიდან, სადაც სკოლა ერთგვარ ანგარიშს აბარებს სოციალური ქსელის გამომწერებს, კერძოდ სოციალური ქსელიდან ამონარიდში ნათქვამია, რომ „სკოლა ახორციელებდა მისიის შეცვლის პროცესს. ამ მიზნით ჩატარდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, მისიის განხილვა პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოზე და ანალიზი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 69 მონაწილემ და მათმა 50,7% მა მხარი დაუჭირა სკოლის მისიას“. ამავე პოსტში წარმოდგენილია გამოკითხვის დამადასტურებელი დიაგრამა, გამოკითხვის შედეგების პროცენტული მაჩვენებლით, რაც ადასტურებს ინტერვიუს დროს სკოლის განმარტებას, მისიის შემუშავების პროცესში გამოკითხვის ჩატარების თაობაზე. სკოლამ ვერ წარმოადგინა. ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ხარვეზი. სკოლის ხედვა და ღირებულებები არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლის ხედვის შემუშავებაში მშობლებისა და მოსწავლეების ჩართვის უზრუნელსაყოფად განსაზღვრა პერიოდი 15.01.2026-28.02.2026 წელი, ხოლო ინსტრუმენტად ფოკუსჯგუფების ორგანიზება. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით ვინაიდან სკოლამ სასკოლო საზოგადოება უნდა ჩართოს ასევე ღირებულებების შემუშავების პროცესში რაც სტანდარტთან უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილ აქტივობებში გათვალისწინებული არ არის

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა ინტერვიუს დროს განმარტა, რომ მისიის წინასწარ შემუშავებული ვერსია, პროექტი, წარადგინეს როგორც პედაგოგიური გუნდის, ასევე მშობლების წინაშე საერთო კრების ფარგლებში, სკოლის მისიის გაზიარების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა ხელმოწერები, ამონარიდი სოციალური ქსელიდან. რაც შეეხება ხედვისა და ღირებულებების გაზიარების პროცესს სასკოლო საზოგადოებასთან სკოლამ შესაბამისი მტიკიცებულებები ვერ წარმოადგინა.

ხარვეზი. სკოლის ხედვა და ღირებულებები არ არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ .

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ინდიკატორთან მიმართებით აქტივობად განსაზღვრა მშობლებთან და მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფების ჩატარება ხედვის

შესამუშავებლად. თუმცა, აღნიშნული აქტივობა ვერ ჩაითვლება ინდიკატორთან მიმართებით არსებული ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებად, ვინაიდან ინდიკატორი გულისხმობს უკვე ჩამოყალიბებული ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის პოზიცია ვერ გაიზიარა

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე
https://skolebi.emis.ge/schools/2376
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტინისხიდის საჯარო სკოლა, შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლების მისია ხედვა და ღრებულებები
- მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე დამსწრეთა ხელმოწერები;
- სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

- [ ] არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავების მეთოდოლოგია (2023 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება N2-93). დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების პროცესის ძირითად ეტაპებს და აცხადებს თანამონაწილეობით პრინციპის დაცვას, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას დაგეგმვის პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, დაგეგმის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა გამოიხატება სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე სხვადასხვა წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობით, შემდგომ ეტაპზე კი შემუშავებული პროექტის გაზიარებით და უკუკავშირის მიღებით. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლა მეთოდოლოგიით განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც ადასტურებს დაგეგმვის ციკლურ ხასიათს.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილია სკოლის მიზნების ჩამონათვალი (6 მიზანი) გამოყოფილია პრიორიტეტული მიმართულებები (3 მიმართულება) და მოცემულია **ყოველწლიური სამოქმედო გეგმის** მიმართულებები (11 მიმართულება), რომლებიც ჩაშლილია აქტივობებში. მითითებულია განხორციელების ვადები. სტრატეგიული გეგმაში მოცემული მიზნები აღწერითი ხასიათისაა და

უფრო განმარტებით ნაწილს ჰგავს. ის არ არის მკაფიო, კონკრეტული, გაზომვადი, შედეგზე ორიენტირებული. თითოეული მიზნის შემთხვევაში სკოლამ უნდა ჩამოაყალიბოს ამოცანები, რომელიც შემდეგ ერთწლიან გეგმაში ჩაიშლება შესაბამის აქტივობებში.

ხარვეზი. სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნები ატარებს აღწერით ხასიათს და არ არის ჩამოყალიბებული მკაფიო, კონკრეტული, გაზომვადი და შედეგზე ორიენტირებული მიზნების სახით. მიზნებს არ ახლავს შესაბამისი ამოცანები, რომლებიც ერთწლიან გეგმაში აქტივობებად უნდა ჩაიშალოს.

სკოლამ სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით 15.01.2026-10.02.2026 წწ. პერიოდში განსაზღვრა სტრატეგიული გეგმის რევიზიის პროცესი და SMART მიზნების გაწერა. თუმცა ინდიკატორი ასევე ითვალისწინებს, რომ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყოს მიზნების შესაბამისი ამოცანები, სკოლის მიერ წარმოდგენილ აქტივობებში მიზნების შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა არ არის გათვალისწინებული რის გამოც სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, იმეორებს სტრატეგიულ გეგმაში გაწერილ ყოველწლიური სამოქმედო გეგმის მიმართულებებს, აქტივობებს და აზუსტებს სასწვალო წლის მანძილზე აქტივობების განხორციელების ვადებს. სკოლის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია წინა წლის ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიშის შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მხოლოდ მიმართულებებს, აქტივობებს/შინაარსს, პასუხისმგებელ პირებს, განხორციელების ვადებს. გეგმაში არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები.

ხარვეზი. სკოლის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები, მიზნების შესაბამისი ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლამ სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით 15.01.2026-10.02.2026 წწ. პერიოდში განსაზღვრა სამოქმედო გეგმის რევიზიის პროცესი და SMART მიზნების გაწერა. თუმცა ინდიკატორი ასევე ითვალისწინებს, რომ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი იყოს მიზნების

შესაბამისი ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რესურსი. სკოლის მიერ წარმოდგენილ აქტივობებში აღნიშნული კომპონენტებზე მუშაობა არ არის განსაზღვრული რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა სკოლის პოზიცია ვერ გაიზიარა

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს. სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია როგორც სტრატეგიული გეგმის, ისე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასების მექანიზმები და შესაბამისი ვადები. დოკუმენტის თანახმად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, ივნისში, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ - შუა ეტაპზე და გეგმის დასრულებისას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის პერიოდულ კონტროლსა და შედეგების შეფასებას. მეთოდოლოგიაში მონიტორინგი და შეფასება განმარტებულია, როგორც მტკიცებულებების წარმოდგენისა და მათი ანალიზის პროცესი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც მიუთითებს შეფასების თანამონაწილეობით ხასიათზე და ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და სანდოობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში, ასევე პედსაბჭოს სხდომის ოქმი სადაც მოხდა ანგარიშის და ახალი ერთწლიანი სამოქმდო გეგმის წარდგენა და განხილვა.

ხარვეზი. სკოლამ ვერ დაადასტურა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებაში სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტი.

სკოლამ სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებაში სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების მიზნით 15.01.2026-20.03.2026 წწ. პერიოდში აიღო ვალდებულება: შეიმუშაოს უკუკავშირის ინსტრუმენტები (კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები) მეთოდოლოგიის შესაბამისად; ჩაატაროს გამოკითხვები და განახორციელოს მიღებული მონაცემების ანალიზი; ანალიზის შედეგები ასახოს მონიტორინგის ანგარიშში და გაითვალისწინოს ისინი შემდგომი დაგეგმვის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია. გაიცა რეკომენდაცია

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.26-20.03.26) შეიმუშაოს უკუკავშირის მიღების ინსტრუმენტები (კითხვარები, ფოკუს-ჯგუფები), ჩაატაროს გამოკითხვები და განახორციელოს მიღებული მონაცემების ანალიზი; ანალიზის შედეგები ასახოს მონიტორინგის ანგარიშში და გაითვალისწინოს ისინი შემდგომი დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა . ის განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი სადაც განხილული იქნა ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში და მიღებული იქნა გადაწყვეტილება შედეგებიდან გამომდინარე რა საკითხები ასახულიყო ახალ ერთწლიან გეგმაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, სამოქმედო გეგმების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- სამოქმედო გეგმის ანგარიშები
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
■ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურის სქემატური გამოსახულება, რომელიც ასახავს როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ურთიერთდაქვემდებარებას. საშტატო განრიგი აზუსტებს თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობას და მოიცავს ყველა მოქმედ თანამდებობრივ პოზიციას, მათ შორის როგორც ადმინისტრაციულ, ისე პედაგოგიურ და დამხმარე პერსონალს. კერძოდ, საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, სსს მქონე პირის ასისტენი, დარაჯი, დამლაგებელი, მტუკი და ენისა და მეტყველების სპეციალისტი. საშტატო განრიგით განსაზღვრული პოზიციების ფუნქციები

დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები“, ასევე ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ შრომითი ხელშეკრულებებითა და „სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები“ს დოკუმენტით განსაზღვრული დასაქმებულთა ფუნქციები ერთმანეთთან შესაბამისობაშია. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობა რეგულირდება მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით. ამრიგად, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობრივი პირების ფუნქციები მკაფიოდ, თანმიმდევრულად და სამართლებრივად სწორად არის განსაზღვრული. ფუნქციების გაწერა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების სწორ გადანაწილებას და ორგანიზაციული მართვის გამჭვირვალობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით, სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულებით, სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობებით და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობების ანალიზით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება, ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობას და პასუხისმგებლობების გამიჯვნას დასაქმებულთა შორის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-127 (12.12.2025 წ) „სტრუქტურული ერთეულებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები“
- საშტატო განრიგი;
- ორგანიგრამა;

- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე. პროცესების სტანდარტიზებულ და ერთგვაროვან მართვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი და „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლებიც განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად პრინციპებს, პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს. სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი, რომელიც სკოლის მართვის პროცესის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ანაწილებს უფლებამოსილებებს დირექტორის მოადგილეს და კოლეგიური ორგანოებს შორის. კანონმდებლობის დაცვით სკოლაში შექმნილია სხვადასხვა კოლეგიური ორგანო, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას და მონაწილეობენ მართვის პროცესებში. შინაგანაწესით რეგულირდება სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების პერიოდები, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის პროცედურები, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახეები და მათი გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები. სკოლასთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით ვვაკანსიის teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების კონკურსის გამოცხადებისას, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის მიხედვით, ხოლო მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით''.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციის პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და სკოლის მიერ განსაზღვრული შიდა წესების დაცვით. მართვის პროცესები არის სტრუქტურირებული და დასაბუთებული შესაბამისი დოკუმენტებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულის დროებითი არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა თანამშრომელზე. მასწავლებლის არყოფნისას საათები ნაწილდება იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმებას. აღნიშნული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერვენციულ მართვის პოლიტიკას, დადასტურდა შესაბამისი ბრძანებებით. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით მკაფიოდაა განსაზღვრული დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის ძირითადი პირობები, რაც დასაქმებულთა მართვას უწყობს ხელს. პრევენციული მართვის მიზნით სკოლა ახდენს სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მართულ ტრენინგებთან დაკავშირებით მასწავლებელთა ინფორმირებას და დარეგისტრირების ხელშეწყობას, უზრუნველყოფს მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლის, ექიმის და სხვა თანამშრომელთა შერჩევას კანონმდებლობისა და საკუთრი რეგულაციების შესაბამისად, ხელს უწყობს უსაფრთხო და მხარდამჭერ სამუშაო გარემოს ორგანიზებას. ამრიგად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლას გააჩნია საჭიროებებზე დაფუძნებული, პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას, ასევე თანამშრომელთა შრომითი უფლებების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფლებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობის (ბრძნება ვაკანსიაზე, კომისიის შექმნაზე, შემოსული განაცხადების გადარჩევისა და გასაუბრების ოქმები) შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლისა და ექიმის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსები ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კონკრეტული ვაკანტური პოზიციისთვის წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით და ქვეყნდება საჯაროდ teacherjobs.ge პლატფორმაზე. სკოლა აღნიშნული მოთხოვნების განსაზღვრისას ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“, ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ შესაბამისი ნორმებით. აღნიშნული უზრუნველყოფს დაინტერესებული კანდიდატებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს და შერჩევის პროცესის ღიაობას. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალის შერჩევას, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ისე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ შემუშვებული პერსონალის მართვის დოკუმენტში შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატის მიერ სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ წარმოსადგენია მხოლოდ „ცნობა ნასამართლობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე)", თითოეული მასწავლებლის პირად საქმეში წარმოდგენილია ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ხოლო 2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ თანამშრომელთა შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილია ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და აგრეთვე ცნობები უფლებების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციასთან შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ხარვეზი. სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტში სრულად არ არის განსაზღვრული იმ აუცილებელ წარმოსადგენ ცნობათა ჩამონათვალი, რომელიც უნდა წარმოადგნოს დასაქმებულმა

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილების განხორციელების ვადად განსაზღვრა 15.01.2026 -20.03 2026წწ პერიოდი. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს დასაქმებულის მიერ წარმოსადგენი აუცილებელი ცნობების ჩამონათვალის სრულად განსაზღვრას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებისთ მეტწილად დაკმაყოფილებულია. გაიცა რეკომენდაცია. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადაში (15.01.2026 -20.03 2026წწ) უზრუნველყოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილება და სრულად განსაზღვროს დასაქმებულის მიერ წარმოსადგენი აუცილებელი ცნობების ჩამონათვალის

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი, მათ შორის სკოლის დირექტორი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოსგან, მოპოვებული აქვს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად თანხმობა 2025-2026 სასწავლო წელს განახორციელოს პედაგოგიური საქმიანობა იმ სკოლაში, სადაც არის დირექტორი (სამეურეო საბჭოს სხდომის ოქმი N 11, 3 ნოემბერი, 2025 წელი) სკოლაში დასაქმებული 25 მასწავლებლიდან 14 უფროსია, 9 წამყვანი და 2 მენტორი, სპეციალურ მასწავლებელს აქვს უფროსის სტატუსი. სკოლის ექიმს უდასტურდება სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობა. წარმოდგენილია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების

დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი პედიატრიაში. დასაქმებულთა პირად საქმეში წარმოდგენილია მათი საკალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს
სკოლის მართვის სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, კათედრებს, პედსაბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს და სხვა დროებით კომისიებს, რომლებიც სკოლის საჭროებიდან გამომდინარე იქმნება გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად. სამეურვეო საბჭო განიხილავს და ადგენს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებს, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, საკონკურსო კომისიები, თანამშრომელთა ჩართულობას კიდევ უფრო აძლიერებს და ქმნის თანამშრომლობით გარემოს. როგორც ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა სკოლის ორგანიზაციული კულტურა გამოირჩევა თანამშრომლობის და გაზიარებული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს არა მხოლოდ ეფექტიან მართვას, არამედ განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების რეალიზებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ცალკეულ შემთხვევებში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა წახალისების მექანიზმები, ხოლო პრაქტიკაში გამოიყენება მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მადლობის გამოცხადება, როგორც მოტივაციისა და პოზიტიური პრაქტიკის აღიარების ფორმა. თუმცა, სკოლას არ გააჩნია ფორმალიზებული და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც წარმატებული გამოცდილების იდენტიფიცირება, აღიარება და გაზიარება განხორციელდება სისტემურად, გეგმაზომიერად და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. სკოლის არსებული პრაქტიკა მეტწილად ეპიზოდურ ხასიათს ატარებს.

ხარვეზი. სკოლას არ გააჩნია ფორმალიზებული და სტრუქტურირებული მექანიზმი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება წარმატებული გამოცდილების იდენტიფიცირება, აღიარება და გაზიარება.

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით „წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების წესის“ შემუშავებისათვის განსაზღვრა პერიოდი 15.01.2026-15.02.2026 წწ. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით იდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად და გასცა რეკომენდაცია **სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (15.01.2026-15.02. 2026) უზრუნველყოს** „წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების წესის“ შემუშავება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N11 (02.11.2024 წ);
- ბრძანებები ვაკანსიაზე, კომისიის შექმნაზე, შემოსული განაცხადების გადარჩევისა და გასაუბრების ოქმები;
- შინაგანაწესი;
- დასაქმებულთა პირადი საქმეები;
- სტრუქტურული ორგანოების ოქმები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დოკუმენტი დამტკიცდა ვიზიტის დროს), რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო და მართვის პროცესების შეფასება განხორციელდება შიდა მექანიზმების გამოყენებით. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მრავალმხრივობასა და ობიექტურობას. დოკუმენტში ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მიმართულებად განსაზღვრულია პერსონალის შერჩევისა და შეფასების ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა. წარმოდგენილი პოლიტიკა მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ვადებსა და ინდიკატორებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სტრუქტურულ ჩარჩოს. ამასთან, დოკუმენტის მე-6 მუხლით რეგულირდება მასწავლებლების, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების პერსონალის შეფასების ეტაპები, რაც მიუთითებს შეფასების პროცესის ეტაპობრივ და სისტემურ დაგეგმვაზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასების შედეგებიდან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას დასაქმებულის წახალისებაზე ან განვითარების დაგეგმვაზე. წარმოდგენილი შეფასების მექანიზმების არსებობა იძლევა შესაძლებლობას, გამოვლინდეს პერსონალის საქმიანობის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლამ წარმოადგინა „შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელიც არეგულირებს პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენისა და დადგენის მექანიზმებს. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი სკოლამ შეიმუშავა ვიზიტის პერიოდში და შესაბამისად ჯერ არ იყო ამოქმედებული. ამრიგად, ვიზიტის დროს სკოლას არ გააჩნდა პერსონალის განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სისტემურად გამოვლენილ საჭიროებებს. სკოლის პრაქტიკა პერსონალის განვითარების მიმართულებით, როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, მოიცავს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტს და გამოცდილების გაზიარების ცალკეულ ფორმებს, რომლებიც ხორციელდება არაგეგმიურად. ამრიგად, სკოლაში არ არის დანერგილი პერსონალის განვითარების საჭიროებებზე დაფუძნებული, წინასწარ დაგეგმილი და სისტემური პროცესი. არსებული პრაქტიკა ატარებს ფრაგმენტულ ხასიათს და არ არის დაკავშირებული ფორმალიზებულ შეფასებასა და განვითარების გეგმასთან.

ხარვეზი . პერსონალის განვითარება არ ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით პერსონალის საჭიროების კვლევისა და წლიური განვითარების გეგმის შექმნის პერიოდად განსაზღრა 20.01.2026-20.04.2026 წ წ, რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა მიერ და გაიცა რეკომენდაცია. სტანდარტთან

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.01.2026-20.04.2026 წწ) სკოლამ უზრუნველყოს პერსონალის საჭროებების კვლევა და შექმნას წლიური განვითარების გეგმა რომელიც საფუძვლად დაედება პერსონალის განვითარებას

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ზრუნავს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე და სისტემატურად აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას განათლების სისტემაში გამოცხადებული პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ, რაც დასაქმებულებმა დაადასტურეს ინტერვიუს დროს. სკოლის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებითა და დამადასტურებელი დოკუმენტაციით. კათედრის წევრები ახორციელებენ ურთიერთდასწრებებსა და კოლეგიალურ უკუკავშირს, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ წამყვანმა და მენტორმა მასწავლებლებმა სკოლასთან თანამშრომლობით შეძლეს პროფესიული სტატუსის ამაღლება, კვლევის დაგეგმვა და ანგარიშების მომზადება, რაც მიუთითებს სკოლის მხრიდან მიზნობრივ მხარდაჭერაზე კარიერული წინსვლის პროცესში. გარდა პედაგოგიური პერსონალისა, სკოლის ხელშეწყობით განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის, კერძოდ, ბუღალტრის გადამზადებაც, რაც მიუთითებს პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ცალკეულ პრაქტიკაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში დასაქმებულებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური სამუშაო გარემო და თანამშრომლებისთვის ადაპტაციის პროცესი პრაქტიკულად არ აღიქმება რთულ ეტაპად. დასაქმებულებმა აღნიშნეს სკოლის დირექტორისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერა ახალი თანამშრომლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობისა და სამუშაო პროცესში ინტეგრაციის დროს. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა დასაქმებულთა ადაპტაციის მხარდამჭერი ფორმალიზებული მექანიზმები (პროცედურები, წესები და ა.შ.). აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ადაპტაციის პროცესი ეფუძნება ინდივიდუალურ პრაქტიკასა და ადმინისტრაციის კეთილ ნებას და არა სისტემურ, წინასწარ განსაზღვრულ მიდგომას.

რჩევა. პროცესის სისტემურობისათვის სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დასაქმებულთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მექანიზმები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებას. აღნიშნული პოლიტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას, პროფესიული პასუხისმგებლობის გაძლიერებას და ინიციატივების წარდგენას. დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას დასახელდა პროფესიული ინიციატივების წახალისების პრაქტიკული მაგალითები ქიმიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლების შემთხვევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესში ცალკეულ მიმართულებებში იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის გამოყენება, რაც დასტურდება, მათ შორის, კურიკულუმის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პრაქტიკით. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლას გააჩნია ხარისხზე ორიენტირებული მიდგომის ელემენტები და გარკვეულ პროცესებში ახორციელებს დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება/გაუმჯობესების ლოგიკას.

„შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელშიც ფაქტობრივად გაწერილია სკოლის მართვაში პროცესული მიდგომის გამოყენების მექანიზმები, სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა ვიზიტის პერიოდში, რის გამოც დოკუმენტით განსაზღვრული შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები პრაქტიკაში ჯერ დანერგილი და ამოქმედებული არ არის.

ხარვეზი. შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია ვიზიტის პერიოდში, იგი ჯერ სრულად არ არის ამოქმედებული და დანერგილი პრაქტიკაში, რის გამოც დოკუმენტით განსაზღვრული პროცესების შეფასება და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულფასოვანი განხორციელება არ ხორციელდება სისტემურად და ყველა მიმართულებით.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განსაზღვრა რომ 20.01.2026-20.03.2026 წწ. პერიოდში უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას ხარისხის პოლიტიკის პრინციპებზე, მოამზადებს შეფასების ინსტრუმენტებს (კითხვარები, დაკვირვების ფორმები) და უზრუნელყოფს პირველი სრული ხარისხის ციკლის განხორციელებას პრიორიტეტულ მიმართულებებში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით მეტწილად დაკმაყოფილებულია. გაიცა რეკომენდაცია სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განსაზღვრულ პერიოდში (20.01.2026-20.03.2026 წწ.) უზრუნველყოს **დაგეგმილი ღონისძიებების განახორციელება ხარისხის უზრუნველყოფსი პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, მოამზადოს შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები, განახორციელოს პირველი სრული ხარისხის ციკლი პრიორიტეტულ მიმართულებებში და შემდგომში აქტიურად იხელმძღვანელოს საკუთარი დოკუმენტით.**
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ცალკეული ასპექტები ასახულია სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა შიდა დოკუმენტში, მათ შორის სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, შრომით ხელშეკრულებებში, დირექტორის ინდივიდუალურ ბრძანებებსა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების

განმსაზღვრელ დოკუმენტებში. აღნიშნული დოკუმენტები უზრუნველყოფს პროცესების იდენტიფიცირებას და პასუხისმგებლობების განსაზღვრას. ამასთან, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ერთიანი, სტრუქტურირებული დოკუმენტი, რომელშიც სისტემურად იქნებოდა იდენტიფიცირებული და აღწერილი სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მათთან დაკავშირებული ქვეპროცესები. შედეგად, პროცესების მართვა ხორციელდება ფრაგმენტულად, სხვადასხვა დოკუმენტზე დაყრდნობით, რაც ვერ უზრუნველყოფს პროცესების ერთიან, თანმიმდევრულ და სისტემურ მართვას, მათი ურთიერთკავშირის მკაფიოდ განსაზღვრასა და ეფექტიან მონიტორინგს.

რჩევა. სასურველია სკოლამ უზრუნელყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი ერთიანი დოკუმენტის შემუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლაში შემოსული ნებისმიერი განცხადება ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას და მასზე რეაგირება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ჩანაწერი ქმნის საჩივრებისა და განცხადებების ადმინისტრაციული დამუშავების ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს. შინაგანაწესი დეტალურად არეგულირებს მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესს და მიუთითებს, რომ მასწავლებელთა მიმართ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლებისა) დისციპლინური გადაცდომების განხილვა ექვემდებარება სკოლის დირექტორის კომპეტენციას, რომლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია საკითხის დისციპლინური კომიტეტის მიერ განხილვაც. შინაგანაწესით გაწერილია დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლები და ვადები. ამასთან, განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, რომელიც მოიცავს დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებს, განხილვაზე უფლებამოსილ პირებს. შინაგანაწესი ასევე აკონკრეტებს როგორც დასაქმებულთა, ისე მოსწავლეთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის სახეებსა და შესაბამის პასუხისმგებლობის ზომებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია სამართლებრივი საფუძველი თანამშრომლებისა და მოსწავლეების მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისთვის. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს პროცესის კანონიერებასა და პასუხისმგებლობის განსაზღვრულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს როგორც უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, ისე მათი დარღვევის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებს. დირექციასთან, დასაქმებულებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას შიდა რეგულაციებით. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის ფუნქციაა დისციპლინური ხასიათის დარღვევების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. შინაგანაწესით გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას, თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას. სკოლაში გამოცემული ყველა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) შეიცავს ინფორმაციას მისი გასაჩივრების ვადის და შესაბამისი ორგანოს შესახებ, რაც უზრუნველყოფს პირების უფლებას სამართლებრივი დაცვის გამოყენებაზე. ამრიგად, სკოლაში არსებობს პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვისთვის საჭირო სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N2 (15.09.2025 წ)დისციპლინური კომიტეტის წესრობის კანდიდატის არჩევა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N1 (15.10.2025 წ) საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის არჩევა დისციპლინური კომიტეტში ;
- სამეურეო საბჭს სხდომის ოქმი N6 (16.10.2025 წ) დისციპლინური კომიტეტის არჩევაზე;
- შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები) ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების პრაქტიკა. სკოლა ეფექტიანად იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო არხებს (ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, ვებგვერდი, სატელეფონო შეტყობინებები და პირისპირ კომუნიკაცია), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. ინტერვიუების დროს გამოვლინდა კონკრეტული მაგალითები (წარმოდგენილი იქნა სოციალურ ქსელში ჩატარებული გამოკითხვის მასალები), როდესაც სკოლამ გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი, რაც მიუთითებს უკუკავშირის არა მხოლოდ მიღებაზე, არამედ მის გამოყენებაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთან, ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ (დირექტორის ბრძანება N2-130, 12.12.2025 წ.) უზრუნველყოფს არსებული პრაქტიკის ფორმალიზებას და ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს ინფორმირების, უკუკავშირის ანალიზისა და შედეგების შემდგომი განვითარების მიზნით გამოყენებისთვის. წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული უკუკავშირის ანალიზის და ანალიზის შედეგების სკოლის განვითარებისათვის გამოყენების დათქმა. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ითანამშრომლოს სასკოლო საზოგადოებასთან, მოახდინოს მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმირება და გაითვალისწინოს მიღებული უკუკავშირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი მტკიცებულებები და ინტერვიუს საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის: მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მმართველობით პროცესებში. სამეურვეო საბჭოს საქმიანობა დაფიქსირებულია შესაბამისი სხდომების ოქმებით, დღის წესრიგითა და მიღებული გადაწყვეტილებებით, რაც მიუთითებს საბჭოს აქტიურ ფუნქციურ ჩართულობაზე სკოლის მმართველობაში. მოსწავლეთა თვითმმართველობა მოქმედებს დადგენილი წესების შესაბამისად. მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები ჩართულნი არიან სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათი ჩართულობის ხარისხს სკოლის შიდა მმართველობაში. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო დოკუმენტების, მათ შორის კურიკულუმის

შექმნასა და შეფასების სისტემის განხილვაში, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს და კათედრების ოქმებით. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში რეალურად ფუნქციონირებს მონაწილეობითი და კოლეგიალურობაზე დაფუძნებული მართვის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებრივ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალურ ქსელში ჩატარებული გამოკითხვის მასალები);
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
- სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კათედრების ოქმები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,

სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლის შენობის ტერიტორია შემოსაზღვრულია და დაცულია. სკოლაში დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ დაცვასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2 მანდატური, სკოლის 2 დარაჯი. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი.
სკოლას მოპოვებული აქვს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტული დასკვნა (N5004936124, გაცემული 19.08.2024) შენობის მდგრადობის შესახებ. დასკვნის მიხედვით ტინისხიდის საჯარო სკოლის სასწავლო კორპუსის, სპორტული დარბაზის, სველი წერტილების და ახალი საქვაბის შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ვარგისია შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციისათვის, ხოლო ამ შენობის გარე პერიმეტრზე შემონაკირწყლის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და აუცილებელია მათ განახლება. ასევე არადამაკმაყოფილებელია სკოლის ეზოში მდებარე ძველი საქვაბის შენობის ტექნიკური მდგომარეობა და ექვემდებარება დემონტაჟს ამ მიზნით სპეციალურად დამუშავებული დემონტაჟის პროექტის მიხდვით.
სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
რაც შეეხება სკოლის მიმართვას უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლამ სშსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიმართა 2023 წლის17 თებერვალს და მიიღო სახანძრო - ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი N87 (MIA2 23 00467681) მიწერილობა, მიწერილობით განსაზღრული ხარვეზების აღმოფხვრის საბოლოო ვადად სკოლას განესაზღვრა 2023 წლის 30 ნოემბერი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ინსპექტირების სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მართვის სამსახურის წერილი პროექტირების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ინსპექტირების ანგარიში და ხარჯთაღრიცხვა. აღნიშნული დოკუმენტაცია სკოლას გაგზავნილი აქვს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში პროექტის შეთანხმების და თანხის გამოყოფის თხოვნით. წერილზე პასუხი დირექტორის განმარტებით სკოლას არ მიუღია. ვზიტის პერიოდში სკოლას მიწერილობით განსაზღვრული ღონისძიებები განხორციელებული არ ჰქონდა.
სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ხარვეზი. ა.**სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**

ბ. რისკის ქვეშაა სკოლის მხრიდან მოსწავლეებისა და დასაქმებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რადგან არ არის განხორციელებული ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოსაფხვრელად სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებები, რომელიც უნდა განეხორციელებინა 2023 წლის 30 ნოემბრამდე.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებისა და ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოსაფხვრელად სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებების განხორციელების ვადად განსაზღვრა პერიოდი 15.01.26-15.01.27. სკოლის არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და გაიცა რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია სკოლამ სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.26-15.01.27) უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება და ზედამხედველობის მიწერილობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოსაფხვრელად სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებების განხორციელება

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანების შესაბამისად. სკოლის ექიმი აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს და ინდივიდუალური აღრიცხვის ფორმას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. სკოლას ჰყავს ექიმი დადასტურებული სახელმწიფო სერტიფიკატით პედიატრია, ექიმის სერტიფიკატის გადასამოწმებლად სკოლამ მიმართა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს და პასუხად მიიღო რომ „ექიმთა სახელმწიფო სასერტიფიკაციო რეესტრის მონაცემების თანახმად ექიმს ნამდვილად უდასტურდება რამდენიმე სახელმწიფო სერტიფიკატი, მათ შორის პედიატრიაში.

ხარვეზი. სკოლას არ აქვს კანონმდებლობით ნებადართული მედიკამენტები შესყიდული, შესაბამისად სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენა ვერ ხორციელდება .

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა, რომ 20.01.26-20.03.26 წწ. პეროდში უზრუნელყოფს კანონმდებლობით ნებადართული მედიკამენტების შესყიდვას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება

არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასების მეტწილად დაკმაყოფილებული და გასცა რეკომენდაცია სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.01.26-20.03.26 წწ.) უზრუნელყოს კანონმდებლობით ნებადართული მედიკამენტების შესყიდვა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში, უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არსებული სამართლებრივი რეგულაციების, პრაქტიკული მექანიზმებისა და ადამიანური რესურსების მეშვეობით. კერძოდ, სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, რაც განსაზღვრავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სტანდარტებსა და სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებს. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის არსებობას. სკოლის მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რომელთა მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა, სკოლის სამოქალაქო განათლებისა და ტექნოლოგიების მასწავლებელი საკუთარ კომპეტენცის ფარგლებშო მოსწავლეებთან ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს (კონფლიქტების მართვა, კიბერბულინგი). სკოლაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კულტურის გაძლიერებას. სკოლას ჰყავს ფსქოლოგი, რომელიც ძირითდად მუშაობს სსსმ მოსწავლეებთან, თუმცა მის მიერ წარმოდგენილი წლიური სამოქმედო გეგმა და ასევე მასთან ინტერვიუ ადასტურებს მის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სკოლის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაში. მოსწავლეებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი სკოლაში თავს დაცულად გრძნობენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს ყოველდღიურ, ყოველკვირეულ, ყოველთვიურ და გენერალურ დასუფთავებას. მოთხოვნები მკაფიოდ განსაზღვრავს სამუშაოების პერიოდულობას, მოცულობასა და კონკრეტულ ობიექტებს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას ყოველდღიურად. ვიზუალური დათვალიერებით და ასევე სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ რომ დასუფთავების პროცესი რეგულარულად ხორციელდება. სკოლაში სანიტარული კვანძები გამიჯნულია ცალკე გოგონების და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი რომელიც რეგისტრირებულია პერსონალურ მონაცემთ დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე https://pdps.ge/ ზე. სკოლის მხრიდან მუშავდება განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია, უფლების ჩამორთმევის შესახებ ინფორმაცია და სხვ.) მონაცემები. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ (2025 წლის 12 დეკემბრის ბრძანება N2-125), რომელიც არეგულირებს სკოლაში არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვისა და დაცვის საკითხებს. სკოლას, დასაქმებულებისგან და მშობლებისგან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე თანხმობა ჩაშენებული აქვს ხელშეკრულებებში, თუმცა რიგ შემთხვევაში მოპოვებულია ინდივიდუალური თანხმობები. იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მიიჩნევს, რომ მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მიღება გამართლებული არ არის შრომითი ხელშეკრულების მეშვეობით და ამისათვის უნდა შემუშავდეს ცალკე **ფორმა, სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია რომ თანამშრომლებთან, მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმდეს შეთანხმება შრომითი ხელშეკრულებიდან პერსონალურ მონაცემთა თანხმობაზე მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა მოპოვებული იქნას ინდივიდუალურად.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას. როგორც გასაუბრებების შედეგად დადგინდა, პირადი მონაცემების დაცვისთვის სკოლას ეხმარება პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემების დაცვის სისტემები. სკოლაში დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამები ლიცენზირებულია. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის დოკუმენტაცია მატერიალური სახით აბარია საქმისმწარმოებელს. რომლის ფუნქციაშიც შედის სკოლის არქივის წარმოება და დაცვა. სკოლის არქივი დაცულია უნებართვო წვდომისგან, ჩაკეტილია კარადებში და არქივისთვის გამოყოფილ ოთახში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლას 2019 წელს 25 თებერვლის ბრძანებით N2-06 განსაზღვრული ჰყავს მრჩეველთა საბჭო (ბრძანებაში პერიოდულად შედის ცვლილებები მისი შემადგენლობის ცვლილებებიდან გამომდინარე. ბოლო ცვლილება შესულია მიმდინარე წლის 17 ნოემბერს). მრჩეველთა საბჭო განიხილას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და საჭიროების შემთხევაში აძლევს სკოლას რეკომენდაციებს. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირება დასტურდება ოქმებით.

ინდკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება მრჩეელთა საბჭოს განსაზღვრის შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს სხომის ოქმები;
- საშტატო განრიგი;
- პესონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- **ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი N87 (MIA2 23 00467681) მიწერილობა;**
- **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან გაგზანილი შერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე;**
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტული დასკვნა;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები,
- ექიმის პირადი საქმე;

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები;
- ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა;
- ტექნიკურ პერსონალის პირადი საქმე და ხელშეკრულებები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი ამონაწერის მიხედვით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი 66.44.04.425, მომზადების თარიღი - 05.01.2024), სკოლა მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტინისხიდში, მისამართზე: ტინისხიდი, მე-3 ქუჩა N5. სკოლის სარგებლობაშია 10 518.00 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სკოლის ძირითადი შენობა, დამხმარე შენობა-საქვაბე და კიდევ ერთი დამხმარე შენობა, რომელიც ამ ეტაპზე დაკეტილია და სკოლა არ იყენებს. ქონების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო სკოლას შენობა და მიწა გადაცემული აქვს უვადო უზუფრუქტით. ამასთან, სკოლას დაწყებული აქვს სკოლის შენობის სარგებლობაში გადმოცემის სამართლებრივი პროცედურა.

სკოლის ძირითადი შენობა ორსართულიანია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას. შენობაში განთავსებულია სულ 12 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დიდი ზომის ოთახი, რომელსაც სკოლა იყენებს სხვადასხვა შეხვედრებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია გამწოვითა და ხელსაბანებით. ლაბორატორიასთან მიმდებარედ მოწყობილია საპრეპარატო ოთახი. ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერული ტექნოლოგიების კლასი და ადმინისტრაციული დანიშნულების ოთახები (დირექტორის, საქმისმწარმოებლისა და ბუღალტრის კაბინეტები). პირველ სართულზე მოწყობილია სანიტარული კვანძები: ოთხი სველი წერტილი გოგონებისთვის და ოთხი - ვაჟებისთვის, თითო სველი წერტილი პედაგოგებისთვის და ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირსთვის ინკლუზიური გარემოს შექმნას. ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით და აღჭურვილია სწავლებისათვის აუცილებელი ავეჯით: მოსწავლეთა ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის სამუშაო მაგიდითა და სკამით, დაფებით. სამასწავლებლო ოთახი აღჭურვილია მაგიდებით, სკამებითა და კომპიუტერებით, რაც ხელს უწყობს პედაგოგების პროფესიულ თანამშრომლობასა და სამუშაო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას.

სკოლის ეზო შემოღობილია და უზრუნველყოფილია სასკოლო სივრცის უსაფრთხოება. არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი შეესაბამება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს, ავტორიზაციის ვადისა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ჩატარებული გასაუბრებებით დადასტურდა, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები გამოიყენება არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ფარგლებში, არამედ კლასგარეშე და დამატებითი აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის, სპორტული დარბაზის, კომპიუტერული კლასისა და სხვა სასწავლო სივრცეების თანაბარ და ორგანიზებულ ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეების, ისე თანამშრომლებისთვის. აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული წესებითა და განრიგით, რაც ზრდის რესურსების ხელმისაწდომობას.

კომპიუტერული კლასით სარგებლობისთვის შემუშავებული განრიგის მიხედვით, სკოლის ციფრული რესურსი ხელმისაწვდომია როგორც დასაქმებულთათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე მოსწავლეებისთვის სხვადასხვა

საგანმანათლებლო და პროექტულ აქტივობებზე მუშაობისთვის. ინტერვიუებისა და გამოკითხვების შედეგად დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ინფორმირებულნი არიან არსებული წესებისა და პროცედურების შესახებ და პრაქტიკაში იცავენ მათ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას გამოყოფილი აქვს ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი სივრცე, შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-128, 2025 წელი), რომელიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის ნორმებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა ფლობს საბიბლიოთეკო რესურსს და ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს პრაქტიკაში. თუმცა, ვერ დადგინდა წიგნადი ფონდის რაოდენობა და შემადგენლობა, რადგან სკოლაში არ წარმოებს საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვა. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ცალკეულ ფურცლებზე იმ ფორმით, რომ წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობის დაზუსტება ვერ მოხერხდა. წიგნადი ფონდის აღრიცხის მოუწესრიგებელი სისტემა ზღუდავს წიგნადი ფონდის მიზნობრივი მართვის, განახლების, მონიტორინგის ეფექტიან განხორციელებას რაც ხელს უშლის საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას

ხარვეზი. საბიბლიოთეკო რესურსების სისტემური აღრიცხვის არ არსებობა ხელს უშლის საბიბლიოთეკო სერვისების სრულფასოვან, მიზნობრივ და უწყვეტ მიწოდებას.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა, რომ 15.01.26-15.04.26 წწ. პეროდში უზრუნელყოფს წიგნადი ფონდის სრულ ინვენტარიზაციას და საინვენტარო წიგნის წარმოებას, რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა მიერ და ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფლებული შეიცვალა შეფასებით მეტწილად დაკმაყოფილებულია. გაიცა რეკომენდაცია სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ (15.01.26-15.04.26 წწ) ვადაში უზრუნელყოს წიგნადი ფონდის სრულ ინვენტარიზაცია და საინვენტარო წიგნის წარმოება

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოსახვედრად მოწყობილია პანდუსი, განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი და რესურსოთახი, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობას შენობის პირელ სართულზე განთავსებული სასწავლო სივრცეების შემთხვევაში. თუმცა, მეორე სართულზე არ არის პანდუსი ან ლიფტი, რაც ზღუდავს შშმ პირების

თავისუფლად გადაადგილებისა და ყველა სასწავლო და სასკოლო აქტივობაში სრულად ჩართულობის შესაძლებლობას. ამასთან სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია განთავსებული აქვს მეორე სართულზე.

ხრვეზი. სკოლის მეორე სართულზე მოხვედრა შეზღუდულია შშმ პირებისათვის რადგან არ არის პანდუსი ან ლიფტი, რაც ზღუდავს მათ თავისუფალ გადაადგილებას და სასწავლო და სასკოლო აქტივობებში სრულად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია განთვსებული აქვს მეორე სართულზე.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა, რომ 15.01.26-15.04.26 წწ. პერიოდში სკოლის მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე უზრუნველყოფს პანდუსის მოწყობას, რაც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორის შეფასება ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებისთ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად. გაიცა რეკომენდაცია სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.26-15.04.26 წწ.) უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა სკოლის მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლას როგორც სოციო-კულტურული სივრცის ფუნქციონირებას და მრავალმხრივ შესაძლებლობებს სთავაზობს სასკოლო საზოგადოებას. სასწავლო შენობა დაგეგმილია ისე, რომ ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სოციო-კულტურული აქტივობებისთვის საჭირო გარემოს. სკოლაში არსებული ნათელი დერეფნები უზრუნველყოფს მოსწავლეთა თავისუფალ გადაადგილებას და კომუნიკაციიის შესაძლებლობას. დერეფნებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვა სარეკრეაციო სივრცეები ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან წარმართვას, ისე მოსწავლეთა ჩართულობას კულტურულ, შემოქმედებით და სპორტულ აქტივობებში, გასაუბრებების შედეგად მოსწავლეებმა გამოხატეს დადებითი განწყობა და დაადასტურეს, რომ სკოლაში არსებული გარემო ხელს უწყობს ურთიერთობების განვითარებას, მოტივაციის ამაღლებასა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .ამონაწერი საჯარო რეესტრუდან;

- ბიბლიოთეკის დებულება;
- კომპიუტერული კლასით სარგებლობის განრიგი
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. სკოლაში არსებული ყველა ტექნიკური საშუალება დაცულია პაროლებით და ვირუსებისგან დაცვის პროგრამებით. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია პრინტერითა და სკანერის აპარატით. სკოლის კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 21 კომპიუტერი, სამასწავლებლოში - 3, ბიბლიოთეკაში - 1, ექიმის ოთახში - 1, ადმინიატრაციის მფლობელობაშია - 4, რესურსოთახში - 1 ფსიქოლოგთან-1. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქთ 4. აღნიშნული დასტურდება საინვენტარო აღწერილობის აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. ამრიგად სკოლას აქვს პროგრამულად

გამართული ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესებისთვის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, რითაც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

როგორც სკოლის დირექციასთან და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია გამოიყენება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილების ჩასატარებლად. იმ პერიოდში, როდესაც ლაბორატორიაში გაკვეთილები არ ტარდება, იქ განთავსებულ კომპიუტერებს თავისუფლად იყენებენ მასწავლებლები და მოსწავლეები სხვადასხვა პროექტებზე მუშაობისას. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიის ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და დასაქმებულებისათვის ზრდის სკოლის მიერ შემუშავებული კომპიუტერული კლასის გამოყენების გრაფიკი. მასწავლებლებს საზიარო სივრცე აქვთ სამასწავლებლოშიც, სადაც განთავსებულია სამი კომპიუტერი. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სკოლის პროექტორებს ღონისძიებებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, ასევე ფილმების ჩვენების დროს. გარდა აღნიშნულისა, I-IV კლასის მოსწავლეები აღჭურვილები არიან პორტაბელური კომპიუტერებით, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება საინვენტარო აღწერილობის აქტებით, ინტერვიუებით და ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილეულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღწერილობების აქტი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. სკოლის დირექტორის ბრძანებები შედგენილია კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, დირექტორის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის - ბრძანების სახით, ბრძანებების ფორმა შეესაბამება ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების შედგენის წესებს. სკოლის თანამშრომლები რეგულარულად აწვდიან შემოსულ და გასულ დოკუმენტებს კანცელარიას შესაბამისი რეგისტრაციისათვის. სკოლაში დადგენილია ერთიანი სახის ბლანკი - სატიტულო ფურცელი, რომლის გამოყენებითაც ხდება ბრძანებების, წერილების, ცნობების გაფორმება. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - eflow-ს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს (სადაც ხდება გამოცემული ბრძანებების განთავსება და ოფიციალური მიმოწერა) და სკოლის ელქტრონულ ფოსტას tiniskhidi@mes.gov.ge და tinisxidiskola@gmail.com.

შიდა კომუნიკაციისათვის გამოყენებულია დახურული მესინჯერ ჯგუფები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების

შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა, განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან და რესურსცენტრთან კომუნიკაციას ახდენს eflow-ს და სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტის გამოყენებით, ხოლო დანარჩენ ორგანიზაციებთან, როგორც საჯარო, ასევე კერძო სტრუქტურებთან, კომუნიკაცია ხორციელდება სკოლის ელექტრონული ფოსტით. სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. საკანონმდებლო ვადების დაცვით ამზადებს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ. ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ყოველწლიურად აქვეყნებს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას საკანონმდებლო მაცნეში და აგზავნის შესაბამის წერილებს საქართველოს პარლამენტთან, პრეზიდენტთან და პრემიერმინისტრთან. სკოლა საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებას. ვადების დაცვით აგზანის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის დასკვნას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Eschool -ის ის და Eflow ;
- საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (ბრძანება N2-130. 2025 წელი), რომელიც უფრო ორგანიზებულსა და მიზნობრივს ხდის სკოლის კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან. წესი აყალიბებს სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგად პრინციპებს, შიდა და გარე კომუნიკაციის წესებს, უკუკავშირის შედეგების ანალიზისა და მასზე რეაგირების ზოგად მექანიზმს. სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ, აღნიშნულის გათვალისწინებით ვებგვერდი იძლევა საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი. დამატებით საკომუნიკაციო საშუალებებად სკოლა ასევე იყენებს სატელეფონო კომუნიკაციას, მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს. მშობლებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციას სკოლის შესახებ ძირითადად ღებულობენ სოციალური ქსელიდან. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას მიეცა **რჩევა. სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში დააკონკრეტოს სასკოლო საზოგადოებიდან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების პროცედურები**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციასა და გავრცელებულ ინფორმაციას შორის არსებული შესაბამისობით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად იყენებს მრავალფეროვან არხებს, მათ შორის მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრებს და გამოკითხვებს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლა ახორციელებს შედეგების ანალიზს და მნიშვნელოვანი უკუკავშირის შემთხვევაში მას იყენებს განათლების ხარისხის გაუმჯობესების, სასწავლო გარემოს გაძლიერებისა და ადმინისტრაციული პროცესების დახვეწის პროცესში. ინტერვიუების დროს როგორც მშობლებმა, ისე მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ სკოლა მათ ინტერესებს რეალურად ითვალისწინებს. მოსწავლეებმა აღნიშნეს თვითმმართველობის წარმომადგენლების როლი და მოიყვანეს მაგალითი, თუ როგორ თანამშრომლობენ ისინი სკოლის ადმინისტრაციასთან სხვა და სხვა ინიციატივების განხორციელების საკითხებში. მშობლებმა კი ხაზი გაუსვეს დამრიგებლებთან და დირექტორთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. **სკოლას მიეცა რჩევა სასურველია დააზუსტოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის პროცედურები, რათა პროცესი უფრო სისტემური გახადოს**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგერდი პორტალზე skolebi.emis.ge. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე და შესაბამისად ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია,სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ მოკლე ანგარიშს, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს და საკონტაქტო ინფორმაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას აქვს კანონმდებლობის დაცვით დამტკიცებული ბუჯეტი, ბიუჯეტის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის და მასწავლებელთა დანამატს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულების ფინანსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულებას. სკოლის ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი მოიცავს წლიური სამოქმედო გეგმის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის და წლიური ბიუჯეტის შედგენას. შესყიდვების წლიურ გეგმას სკოლა შეიმუშვებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, წლიურ ბიუჯეტს კი შეიმუშავებს ფინანსური წლის ბოლომდე. სკოლის ბიუჯეტს

ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორსა და ბუღალტერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა რესურსცენტრს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს ფინანსურ ბალანსს, ტვირთავს ხელშეკრულებებს შესყიდვების ელექტრონულ გერდზე www.procurement.gov.ge ზე, შესყიდვების გეგმას კი - ePLAN მოდულში. დეკლარაციები ატვირთულია rs.ge-ze

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომიოქმი წიური ანგარიშის წარდგენაზე;
- სამეურვეო საბჭოს სხდომს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
- ბიუჯეტი;
- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა შიდა რეგულაციების მეშვეობით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და შესაბამისი გარანტიების რეალიზებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი განსაზღვრავს სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელ ძირითად ნორმებს, მათ შორის: ზოგად დებულებებს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, მოსწავლეთა წახალისების წესს, დისციპლინური დევნისა და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური სახდელების დაკისრების წესს, მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზების მარეგულირებელ ნორმებს. მოსწავლის, მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, სასწავლო და დასვენების პერიოდებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და შეწყვეტის წესს, ასევე დავის გადაწყვეტის მექანიზმებს. ადგილზე შემოწმებით დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებულია, დადასტურებულია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა სავალდებულო რეკვიზიტებს.

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბავშვთა დაცვის საკითხებზე (რეფერირებაზე) პასუხისმგებელი პირი და დამტკიცებული აქვს რეფერირების წესი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დროულ დაცვას და შესაბამისი რეაგირების განხორციელებას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც მოიცავს პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმებს. სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება გამოცდების (საშემოდგომო, სემესტრული, ექსტერნის) ჩატარების პროცედურები, სსსმ

მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები, შინსწავლების ორგანიზების წესები. გარდა ამისა, სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის წესი, ხოლო თვითმმართველობის წარმომადგენლები ჩართულნი არიან სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინურ კომიტეტში, რაც ხელს ნიშნავს მათი უფლებების პრაქტიკულ რეალიზებას. ამრიგად, სკოლა შიდა რეგულაციების მეშვეობით ეფექტიანად ახორციელებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები: შინაგანაწესი, ქცევის წესები, მოსწავლეთა ჩარიცხის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი, სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და სხვა შიდანორმატიული აქტები, რომელიც უზრუნელყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციას საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ის განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს შეუზღუდავ წვდომას აღნიშნულ დოკუმენტებზე. მოსწავლეებთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ კანონით გათვალისწინეულ საკუთარ უფლებებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება
სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლებამოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები.
მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებგვერდი;

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- თვითმმართველობის არჩევის წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მობილობის, კლასის და საფეხურის დაძლევის წესი. წესში გაწერილია მკაფიო მექანიზმები კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანებებითა და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, მოსწავლეთა მობილობა ხორციელდება კანონმდებლობის დაცვით, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში წარმოდგენილია მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების განცხადებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და სხვა მარეგულირებელ აქტებში. აღნიშნული დოკუმენტები განთასებულია სკოლს ვებგვერდზე, შესაბამისად ის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გარდა აღნიშნულისა დამრიგებლების მიერ ხდება მშობლებისა და მოსწავლეებისათის ინფორმაციის მიწოდება როგორც სკოლის მარეგულირებელ ნორმებზე ასევე წლის განმავლობაში გამოცხადებული ან/და სკოლის მიერ ორგანიზებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ინფორმაციაზე ხელმისაწდომობა დაადასტურეს ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა და მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდს. აღნიშნული არხებით რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასწავლო პროცესის, სკოლის ინიციატივების, პროექტებისა და საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ანალიზით დადგინდა, რომ ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული მასალები შეიცავენ სანდო, დროულად განახლებულ და ობიექტურ ინფორმაციას. სკოლის მიერ ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მართვის გამჭვირვალე, ორგანიზებულ და სამართლებრივად დასაბუთებულ პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- სოციალური ქსელი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

  ■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშვებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეს სასწავლო პროცესსა და სასკოლო გარემოსთან სწრაფად და წარმატებით შეგუებაში. დოკუმენტში განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები და აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც პირველ კლასში ჩარიცხულ, ისე მობილობით ან აღიარებით სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეთა სწრაფ და წარმატებულ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ადაპტაციის სისტემა, რომელიც იწყება სწავლის პირველივე დღიდან. ბაღის აღსაზრდელებს შესაძლებლობა აქვთ წინასწარ, სწავლის დაწყებამდე გაეცნონ სკოლის ინფრასტრუქტურას, ხოლო მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს დამრიგებელი აცნობს შინაგანაწესს, სკოლაში დამკვიდრებულ ქცევის ნორმებს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის იქმნება ისგ ჯგუფები, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, სოციალურ ადაპტაციასა და საზოგადოებრივ ინტეგრაციას. დამრიგებლის მუდმივი კომუნიკაცია ახალ მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საშუალებას აძლევს სკოლას ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს მოსწავლის საჭიროებები და საჭიროების არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს დროული მხარდაჭერა. მოსწავლეებისა და მშობლების (მათ შორის მობილობით გადმოსული მოსწავლეებისა და მობილობით გადმოსული და პირველი კლასის მშობლების) შეფასებით, სკოლაში შექმნილია ხელშემწყობი, მეგობრული და მხარდამჭერი გარემო, რაც ადასტურებს ადაპტაციის ეფექტურობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლა განსაზღვრავს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმებს საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის პროცესში. კერძოდ, საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა იღებს ვალდებულებას, გაუწიოს კონსულტაციები იმ მოსწავლე(ებ)ს შესაბამის საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ ენიშნებათ საშემოდგომო გამოცდა. ამასთან, სკოლა სთავაზობს შინსწავლებას იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ ერთ თვეზე მეტი ხნით მკურნალობას. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის პრაქტიკაა საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა მშობლის თანხმობის საფუძველზე, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით. მასწავლებლებმა ასევე დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. სასკოლო სასწავლო გეგმის და გასაუბრებების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლა პრაქტიკაში უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიურ კონსულტაციასა და მხარდაჭერას სხვადასხვა ფორმით. აღნიშნული მხარდაჭერა შეესაბამება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მიმართულია აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისკენ. თუმცა, აკადემიური მხარდაჭერის პროცესი არ არის სისტემურად დაგეგმილი არ არის განსაზღვრული წინასწარ, რა შემთხვევაში, რა ფორმით და რა ვადებში ხორციელდება მხარდაჭერა, ასევე არ არის გაწერილი მხარდაჭერის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები.

სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესის უფრო ეფექტიანი მართვისათვის და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისათვის სასურველია მოახდინოს აკადემიური მხარდაჭერის არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და გაწეროს მხარდაჭერის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების შესაძლებლობების, აგრეთვე სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდების ჩატარების პირობების შესახებ. აღნიშნული საკითხები ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლის გაცნობის ვალდებულება ეკისრებათ დამრიგებლებს. სკოლა იცავს საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობებს და ამ გზით ხელს უწყობს მოსწავლეთა

აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას. ამასთან, სკოლა აწვდის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაციას მობილობის პროცესში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ განსახორციელებელი აქტივობებისა და მობილობასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ. სკოლას გაწერილი აქვს ადმინისტრაციული წარმოებების განხორციელების კანონმდებლობით დადგენილი ვადები, ხოლო შესაბამისი ინფორმაცია და საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერი წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი კმაყოფილები არიან სკოლის მხრიდან გაწეული ადმინისტრაციული მხარდაჭერით და მიიჩნევენ, რომ სკოლა მათ დროულად და სრულყოფილად აწვდის ინფორმაციას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებს გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და უზრუნველყოფს მათი უფლებების რეალიზებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა სწავლა-სწავლებისა და აღზრდის პროცესს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება, რაც მოსწავლეთა ინდივიდუალური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სკოლა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის, შესაბამისი საგნის მასწავლებლების, მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების განხორციელებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში ფუნქციონირებს ორი კლუბი. მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა და პრაქტიკა, ინიციატივებით მიმართონ დამრიგებლებს, საგნის მასწავლებლებსა და სკოლის დირექტორს და წარადგინონ საკუთარი იდეები. სკოლა აღნიშნულ ინიციატივებს განიხილავს და შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას. ამრიგად, სკოლაში არსებობს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის რეალური პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება კვალიფიციური პერსონალის ჩართულობით და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, აღნიშნული პროცესი არ არის ფორმალიზებული, არ არის განსაზღვრული მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენის, განხილვის, მხარდაჭერისა და შედეგების შეფასების მექანიზმები.

რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და დოკუმენტირება, კერძოდ: მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენისა და განხილვის პროცედურის გაწერა, მხარდაჭერის ფორმებისა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, განხორციელებული ინიციატივების შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა უკუკაშირს სკოლა გარკვეულ შემთხვევებში ითვალისწინებს. მაგალითად, მოსწავლეთა სურვილის მიხედვით სკოლამ მოიწვია მათთვის საინტერესო პროფესიის წარმომადგენელი, რომელმაც გააცნო თავისი პროფესია, ასევე მოსწავლეთა ინიციატივით მიეწყო დასუფთავებს აქცია და სხვა. ეს მაგალითები ადასტურებს, სკოლის მზაობას გაითვალისწინოს მოსწავლეთა საჭიროებები და ზოგიერთი ინიციატივა. თუმცა, მოსწავლეთა უკუკავშირის გამოყენება ფრაგმენტული ხასიათისაა. სკოლას არ აქვს შემუშავებული სისტემური პროცესი მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის შეგროვებისა და გამოყენებისთვის რომელიც უზრუნველყოფს უკუკავშირის რეგულარულ აღრიცხვასა და ანალიზს და რომელიც დაეხმარება სკოლას მოსწავლეთა მომსახურების მუდმივ გაუმჯობესებას და პროცესების მიზანმიმართულად მართვაში.

ხარვეზი. სკოლას არ აქვს შემუშავებული/გაწერილი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის გამოყენებას მოსწავლეთა მომსახურების მუდმივი გაუმჯობესებისთვის.
სკოლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით 15.01.2026-15.02.2026 წ.წ. პერიოდში გეგმავს უკუკავშირის ანალიზის მექანიზმის შექმნას და შემდგომში დაგეგმვის პროცესში უკუკავშირის შედეგების გამოყენებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია რადგან მიიჩნია, რომ წარმოდგენილი პრაქტიკა უზრუნველყოფს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას.
რეკომენდაცია. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში (15.01.2026-15.02.2026 წ.წ.) უზრუნველყოს უკუკავშირის ანალიზის მექანიზმის შექმნა
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მართვის საინფომაციო სისტემის მონაცემები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნვველყოფის გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლაში მოქმედებს პროფორიენტაციის კლუბი, რომლის მიზანია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა პროფესიის, მათი შინაარსისა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ. კლუბის საქმიანობაში ჩართულნი არიან IX-XII კლასის მოსწავლეები. კლუბში გაწევრიანება ნებაყოფლობითია, ხოლო კლუბის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე დასწრება თავისუფალია და არ იზღუდება მხოლოდ კლუბის წევრებით, რაც უზრუნველყოფს მომსახურების ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. კლუბს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, თუმცა სკოლა უზრუნველყოფს მისი მოქნილად გამოყენებას მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, მოსწავლეთა მოთხოვნებიდან გამომდინარე შესაძლებელია გეგმის კორექტირება და იმ პროფესიის წარმომადგენლის მოწვევა სკოლაში, რომელიც მოსწავლეთა პროფესიულ ინტერესებს შეესაბამება. მოწვეულ სტუმრებთან შეხვედრებზე დასწრება ნებადართულია ნებისმიერი მსურველი მოსწავლისათვის. კარიერული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები კოლეჯ „დილასთან“ და სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტულ ბიომედიცინის ცენტრთან, რაც მოსწავლეებს აძლევს საგანმანათლებლო, კვლევით და პროფესიულ გარემოსთან პრაქტიკული გაცნობის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა ისაუბრეს სკოლაში მოწვეულ პროფესიონალებზე და მათთან გამართულ შეხვედრებზე. აღნიშნული პრაქტიკა დამატებით დადასტურდა მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროსაც. ამრიგად, სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ორგანიზებულია, ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის და ემყარება როგორც შიდა რესურსების გამოყენებას, ასევე გარე პარტნიორებთან ეფექტიან თანამშრომლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

გასაუბრებების შედეგად მოსწავლეებმა, სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა და მშობლებმა დაადასტურეს, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეთა მხარდაჭერას მომავალი პროფესიის გააზრებულად შერჩევის პროცესში. მონაწილეთა განცხადებით, აღნიშნული შეხვედრები ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიულ თვითგამორკვევას და რიგ შემთხვევებში ვიზიტების შემდეგ მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას მომავალი პროფესიის არჩევის შესახებ. აღნიშნული საქმიანობის დასტურად სკოლამ შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები: ჩანაწერები, ანგარიშები ან შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია გარდა ფოტო მასალისა ვერ წარმოადგინა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა

რჩევა სასურველია მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მართვა გაწეროს კონკრეტულ მექანიზმებად, მათ შორის განსაზღვროს ინფორმაციის მიწოდების ფორმები, პერიოდულობა, პასუხისმგებელი პირები და განხორციელებული საქმიანობის დოკუმენტირების წესი, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და მტკიცებულებებით დადასტურებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლამ ვიზიტის ფარგლებში ვერ დაადასტურა გაწეული მომსახურების შეფასების განხორციელების ფაქტი, შესაბამისად ვერ დადასტურდა სკოლის მიერ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გათვალისწინება დაგეგმვის პროცესში.

ხარვეზი. **სკოლამ ვერ დაადასტურა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების გათვალისწინების ფაქტი**

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 15.01.2026-15.02.2026 წ.წ. ვადაში შექმნის უკუკაშირის ანალიზის მექანიზმს და შეფასების შედეგებს გაითვალისწინებს მომსახურების დაგეგმვის პროცესში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადაში (15.01.2026-15.02.2026წ.წ.) უზრუნველყოს მიღებული უკუკავშირის შეფასება და შეფასების შედეგები გაითვალისწინოს მომსახურების დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმები;
- კლუბის სამოქმედო გეგმები
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი“. დოკუმენტი აღწერს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების ადრეული გამოვლენის, პირველადი სირთულეების მართვის, მულტიდისციპლინური გუნდის ეფექტური თანამშრომლობისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების ერთიან პროცესს. სკოლაში მოქმედებს სსსმ მოსწავლის შეფასების, მხარდაჭერისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს: სირთულეების ადრეულ იდენტიფიცირებასა და პირველადი მართვის წესებს, მულტიდისციპლინური გუნდისთვის მიმართვის წარდგენას, გუნდის დასკვნაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და პერიოდულ გადახედვას, მოსწავლის პროგრესისა და შედეგების მონიტორინგს, საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას, სპეციალისტთა ჩართულობასა და დამატებითი მეცადინეობების ორგანიზებას, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგსა და შესაბამის ანგარიშგებას. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებებზე სათანადო რეაგირებას, მათთვის ხელმისაწვდომი, მხარდაჭერილი და ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს: სსსმ მოსწავლის განმარტებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ეტაპებსა და ვადებს, ისგ ჯგუფის ვალდებულებებს, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების პრინციპებს, შინსწავლის განხორციელების წესს. სკოლაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგს დებულებით განსაზღვრული წესით. ჯგუფის საქმიანობა დასტურდება სხდომების ოქმებით. წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის დასკვნა ვადების დაცვით წარდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 6 სსსმ მოსწავლე. თითოეულ მათგანისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი და სსსმ მოსწავლის ასისტენტი. მოქმედებს რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით, პრინტერით და სსსმ მოსწავლეთათვის საჭირო დამხმარე რესურსებით; არსებობს რესურსოთახით სარგებლობის განსაზღვრული განრიგი. აღნიშნული სისტემური მიდგომები სრულად ასახავს სკოლის მზადყოფნას უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეთათვის ხარისხიანი და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო.

გაიცა რჩევა სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებას ახდენს სსიპ - მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი/ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი და არა მულტიდისციპლინური გუნდი და შესაბამისად განაახლოს საკუთარი რეგულაცია” სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი”

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის დოკუმენტაციის (სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ ჯგუფის სხდომების ოქმები, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა და სასკოლო სასწავლო გეგმა) შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შემადგენლობა, რომელშიც შედიან როგორც პედაგოგები, ასევე მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, სპეციალური მასწავლებელი და რიგ შემთხვევვაში ფსიქოლოგი და სსსმ მოსწავლის ასისტენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა აქტიურ ჩართულობასა და თანამშრომლობას. ეს მექანიზმი ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის განვითარების სრულფასოვან მხარდაჭერას, პროგრესის მონიტორინგს და სწავლების პროცესის სისტემურ გაუმჯობესებას სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით. სკოლა უზრუნველყოფს მშობლებთან რეგულარულ კომუნიკაციას. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი როგორც შვილის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებასა და გადახედვაში, ასევე მისი აკადემიური და სოციალურ-ემოციური წინსვლის პროცესის მონიტორინგში. ისგ ჯგუფი ატარებს პერიოდულ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებში ხდება მოსწავლის საჭიროებების, პერსპექტივებისა და არსებული გამოწვევების განხილვა. სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების ანალიზს და მათი საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ჩატარებული გასაუბრებები ფსიქოლოგთან და სპეციალურ მასწავლებელთან ადასტურებს აქტიურ და ეფექტურ თანამშრომლობას ისგ ჯგუფის წევრებს შორის. ფსიქოლოგმა და სპეციალურმა მასწავლებელმა გამოკვეთეს, რომ სასკოლო საზოგადოება,მასწავლებლები, ადმინისტრაცია და მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლის განვითარების პროცესში, ხოლო მშობლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის ინკლუზიური, მხარდამჭერი გარემო. ვიზიტის დროს გამოვლენილი მიგნებები ადასტურებს, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება თანამშრომლობის, ფართო ჩართულობისა და ერთიანი პასუხისმგებლობის პრინციპებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

- ისგ ჯგუფის სხდომების ოქმები;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება
- ინკლუზიური განათლების შიდამონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა დამატებით არასავალდებულო მომსახურებაში მოსწავლეებს სთავაზობს პროფორიენტაციის კლუბს და სტემ კლუბს. კლუბები ფუნქციონირებს მასწავლებელთა გადაწყვეტილებით მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. მათ აქვთ წესდება და სამოქმედო გეგმა.

სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია კლუბის ფუნქციონირება დარეგულირდეს დირექტორის ბრძანებით

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რაც მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრებით დადასტურდა. მათი განმარტებით, კლუბებში გაწევრიანება ხდება სურვილის გამოხატვის შემდეგ, მასწავლებელთან ზეპირი მიმართვით. სკოლას მიეცა **რჩევა მოსწავლის კლუბებში გაწევრიანება განხორციელდეს მოსწავლის ან მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი შესაბამისი განცხადებით/მომართვით.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

კლუბებში მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების იმ არსებული ნორმების დაცვით, რომელიც აქვს სკოლას განსაზღვრული შიდა რეგულაციებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კლუბების წესდებები;
- კლუბების სამოქმედო გეგმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

■ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 12.01.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოტოსაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: